

ბანკის ამონაწერის იმპორტი

სისტემაში შესაძლებელია სხვადასხვა ბანკის ამონაწერის იმპორტი როგორც ვებ სერვისით, ასევე xml ფაილის საშუალებით. ეს ბანკებია : საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ტერა ბანკი, ლიბერთი ბანკი და ალტა სოფტვეარით მომუშავე ბანკები.

საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკის და პროკრედიტ ბანკის ამონაწერის იმპორტი შესაძლებელია ორივე მეთოდით: ფაილით და ვებ სერვისით. ტერა ბანკის იმპორტი შესაძლებელია მხოლოდ ვებ სერვისით, ხოლო ლიბერთი ბანკის და ალტა სოფტვეარის იმპორტი შესაძლებელია მხოლოდ xml ფაილის საშუალებით. განვიხილოთ ბანკის ამონაწერის იმპორტი ორივე მეთოდით თიბისი ბანკის მაგალითზე.

ამონაწერის დამუშავების ტექნიკა ერთი და იგივეა ყველა ბანკისთვის. განსხვავებულია მხოლოდ xml ფაილის შემთხვევაში ფაილის არჩევის და ვებ სერვისის შემთხვევაში ბანკის ავტორიზაციის ფორმები.

ბანკის ამონაწერის იმპორტის შესრულებამდე სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებში მითითებული უნდა იყოს საბანკო რეკვიზიტები.

სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრების განახლება

კოდი	12345678910
დასახელება	სატესტო
მისამართი	
ქალაქი	
ქვეყანა	
საფოსტო ინდექსი	
პირველი პირი	
მეორე პირი	
დღგ-ს ტიპი	ჩვეულებრივი

ანგარიშები ბანკში მისამართები ტელეფონები


ბანკის კოდი	ბანკის დასახელება	ანგარიში	დაკავშირებული საბუღალტრო ანგარიში	დაკავშირებული საბუღალტრო ანგარიშის დასახელება
TBCBGE22	თიბისი ბანკი	GE35TB7388936080100001	1210 1	თიბისი GE35TB7388936080100001

შეინახოთ დაეხუროთ


ჩვენს შემთხვევაში მითითებულია თიბისი ბანკის ანგარიში და მისი შესაბამისი საბუღალტრო ანგარიში. შევინახოთ პარამეტრების ეკრანი და შევასრულოთ იმპორტის ოპერაცია

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ თქვენ სარგებლობთ სხვადასხვა საბანკო ანგარიშებით, მაშინ ყველა ანგარიშისათვის ანგარიშთა გეგმაში უნდა გქონდეთ დამატებული კონკრეტული ქვეანგარიშები, რომლებზეც შესრულდება კონკრეტული საბანკო ანგარიშის ამონაწერის იმპორტის ოპერაციები. მაგ: 1210 1 - თიბისი ბანკის ლარის ანგარიში, 1210 2 -საქართველოს ბანკის ლარის ანგარიში და ა.შ.


განვიხილოთ ამონაწერის იმპორტი ვებ სერვისის საშუალებით და ვნახოთ ავტორიზაციის ეკრანები სხვადასხვა ბანკის შემთხვევაში. ამისათვის ეკრანის მარცხენა მხარეს განთავსებული მენიუდან აირჩიეთ: ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები. გამოსულ ეკრანში დააჭირეთ “ბანკის ამონაწერის იმპორტი“-ს წინ არსებულ „+“ ნიშანს



აირჩიეთ სასურველი ბანკი, ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ „თი-ბი-სი ბანკი“ (ვებ სერვისით). ეკრანზე იხილავთ სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებში მითითებულ საბანკო ანგარიშების ჩამონათვალს, რომელიც ჩვენს შემთხვევაში გაფილტრულია თიბისი ბანკის ანგარიშებით. სისტემა ავტომატურად ფილტრავს ანგარიშებს იმის მიხედვით, თუ რომელი ბანკის ამონაწერის იმპორტს ასრულებთ.




მონიშნეთ ის ანგარიში რომლის ამონაწერის იმპორტის შესრულებაც გსურთ და დააჭირეთ ღილაკს "OK". ეკრანზე იხილავთ თიბისი ბანკის ავტორიზაციის ფორმას.




მიუთითეთ მომხმარებელი, პაროლი, დიჯიტასის კოდი და დააჭირეთ ღილაკს "OK". ბანკის ამონაწერის შესაბამისი ოპერაციები ჩაიტვირთება მაკრო ოპერაციის ეკრანში, რომლის დამუშავებასაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ფაილით ამონაწერის იმპორტის მაგალითზე.


საქართველოს ბანკის ვებ სერვისით ამონაწერის იმპორტის შემთხვევაში ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:




პროკრედიტ ბანკის ვებ სერვისით ამონაწერის იმპორტის შემთხვევაში ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:




ტერა ბანკის ვებ სერვისით ამონაწერის იმპორტის შემთხვევაში ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:




დეტალურად განვიხილოთ ამონაწერის იმპორტისთვის მონაცემების დამუშავების ტექნიკა xml ფაილის საშუალებით. ბანკის ამონაწერის იმპორტის შესასრულებლად ეკრანის მარცხენა მხარეს განთავსებული მენიუდან აირჩიეთ: ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები. გამოსულ ეკრანში დააჭირეთ “ბანკის ამონაწერის იმპორტი“-ს წინ არსებულ „+“ ნიშანს



აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ბანკი. მაგალითისთვის ავირჩიოთ თი-ბი-სი ბანკი“ (xml ფორმატი). იხილავთ ეკრანს:



აირჩიეთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკინგიდან თქვენს მიერ დაფორმირებული ფაილი და დააჭირეთ ღილაკს „OK.“



როგორც ხედავთ ეკრანზე არის სხვადასხვა მოსანიშნი, განვიხილოთ თითოეული მათგანი.

თუ მონიშნულია ველი **“დავუმატოთ ახალი ორგანიზაცია/პიროვნება დებიტორ/კრედიტორების სიაში”** მაშინ ამონაწერით მოსული დებიტორ/კრედიტორის ინფორმაციით სისტემა შეეცდება მოძებნოს შესაბამისი დებიტორ/კრედიტორი ორის ბუღალტერიის მონაცემთა ბაზაში. გადარიცხვის ოპერაციის შემთხვევაში ჯერ შეეცდება მოძებნოს შესაბამისი თანამშრომელი ((მენიუ: [ხელფასი] – [თანამშრომლები და ხელფასის დარიცხვები]), შემდეგ დებიტორ/კრედიტორი (მენიუ: [ბუღალტერია] – [დაკავშირებული ცხრილები] – [დებიტორ/კრედიტორები]). ძიება ხორციელდება საიდენტიფიკაციო კოდის ან პირადი ნომრის მიხედვით. თუ ამონაწერში კოდის ან პირადი ნომრის ველი ცარიელია, მაშინ სისტემა შეეცდება ძიება განახორციელოს საბანკო ანგარიშის მიხედვით (შესაძლოა ორის ბუღალტერიის მონაცემთა ბაზაში რომელიმე დებიტორ/კრედიტორს უკვე აქვს მითითებული ამონაწერით მოსული საბანკო

ანგარიში). თუ ამ შემთხვევაშიც დებიტორ/კრედიტორი ვერ მოიძებნა, მაშინ სისტემა დაამატებს ახალ დებიტორ/კრედიტორს ამონაწერში მოსული ინფორმაციის გამოყენებით.

თუ მონიშნულია ველი „გავხსნათ დებიტორ/კრედიტორების ქვეანგარიშები“ სისტემა ავტომატურად გახსნის ჩარიცხვის ოპერაციებში მონაწილე დებიტორ/კრედიტორების შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებს, რომლებზეც შესრულდება ჩარიცხვის ბუღალტრული გატარებები. ხოლო ველში „ჩარიცხვის ოპერაციაში დებიტორ/კრედიტორების მშობელი ანგარიში“ უნდა მიუთითოთ მშობელი ანგარიში, რის ქვეშაც უნდა გაიხსნას დებიტორ/კრედიტორის ქვეანგარიშები.


თუ მონიშნულია ველი „გავხსნათ დებიტორ/კრედიტორის ავანსის ქვეანგარიში“ და დებიტორ/კრედიტორის მიმდინარე ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი (პროგრამა ნაშთს ამონაწერში მითითებული ვალუტისათვის), მაშინ ველში „ჩარიცხვის ოპერაციაში დებიტორ/კრედიტორების ავანსის მშობელი ანგარიში“ მითითებული ანგარიშის ქვეშ პროგრამა ავტომატურად გახსნის დებიტორ/კრედიტორების ავანსის ბუღალტრულ ქვენაგარიშებს.

ველის „გავხსნათ დებიტორ/კრედიტორების ქვეანგარიში (გადარიცხვის ოპერაციის შემთხვევაში)“ მონიშვნის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად გახსნის გადარიცხვის ოპერაციაში მონაწილე დებიტორ/კრედიტორის ქვეანგარიშებს. ხოლო „გადარიცხვის ოპერაციაში დებიტორ/კრედიტორების მშობელი ანგარიში“ უნდა მიუთითოთ მშობელი ანგარიში, რის ქვეშაც გსურთ რომ გაიხსნას დებიტორ/კრედიტორის ქვეანგარიშები.


რაც შეეხება ხელფასის გადარიცხვებს, უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის პარამეტრებში შესაძლებელია თითოეულ თანამშრომელს განყოფილების მიხედვით განესაზღვროს ხელფასის დარიცხვაში მონაწილე საბუღალტრო ანგარიშები. აქედან გამომდინარე თუ მონიშნულია ველი „ანგარიშები განვსაზღვროთ [ხელფასი]-[პარამეტრები]-[ხელფასის ანგარიშები]“ სისტემა ხელფასის გადარიცხვის საბუღალტრო გატარებაში გამოიყენებს ხელფასის პარამეტრებიდან განსაზღვრულ ანგარიშს. გაითვალისწინეთ, რომ თანამშრომლის იდენტიფიცირება ხდება პირადი ნომრით და საბანკო ანგარიშით. თუ თანამშრომელი არ არის დამატებული მონაცემთა ბაზაში ან არის მაგრამ არ აქვს მითითებული საბანკო ანგარიში, ასეთ გადარიცხვას სისტემა აღიქვამს როგორც დებიტორ/კრედიტორზე გადარიცხვის ოპერაციას და შეასრულებს შესაბამის არა ხელფასის, არამედ სტანდარტული გადარიცხვის გატარებას.



იმ შემთხვევაში თუ არ გინდათ, რომ სისტემამ ხელფასის პარამეტრებიდან აიღოს ხელფასის ანგარიშები და გსურთ თქვენ თვითონ განსაზღვროთ

გადარიცხვაში მონაწილე ხელფასის ანგარიში, გადანიშნეთ აღნიშნული მოსანიშნი და ველში „გადარიცხვის ოპერაციებში ხელფასის მშობელი ანგარიში“ მიუთითეთ თქვენთვის სასურველი საბუღალტრო ანგარიში. თუ მინიშნავთ ველს „გავხსნათ თანამშრომლის ქვეანგარიში“ სისტემა ავტომატურად გახსნის თანამშრომლის ქვეანგარიშებს.




ჩვენს შემთხვევაში დავტოვოთ პირველი მოსანიშნი „ანგარიშები განვსაზღვროთ [ხელფასი]-[პარამეტრები]-[ხელფასის ანგარიშები]“ და მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“



ეკრანზე გამოჩნდება ამონაწერის იმპორტში არსებული გატარებები ყველა საჭირო რეკვიზიტით. თითოეული ჩანაწერის წინ მონიშნულია ველი „შევასრულო“, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ჩანაწერებისთვის შესრულება საბუღალტრო ოპერაციები. იმ შემთხვევაში თუ არ გინდათ შესრულდეს რომელიმე კონკრეტული ოპერაცია, გადანიშნეთ შესაბამისი მოსანიშნი მასზე მაუსის დაჭერით. ან მონიშნეთ სასურველი ჩანაწერები და გამოიყენეთ ღილაკები   აღნიშნული ველის მოსანიშნად ან გადასანიშნად.


როგორც ეკრანზე ჩანს სისტემამ ავტომატურად გახსნა ბუღალტრული ანგარიშები და ოპერაციის შინაარსის მიხედვით დაუკავშირა თითოეულ ჩანაწერს შესაბამისი ბუღალტრული ანგარიში. როგორც ხედავთ მე-2 და მე-3 და მე-4 ჩანაწერი (კომენტარის ველის შინაარსის მიხედვით) არის ხელფასების გადარიცხვა. თუმცა მე-4 ჩანაწერი სისტემამ აღიქვა როგორც სტანდარტული გადარიცხვა, რადგან პროგრამაში, თანამშრომლების სიაში ვერ მოიძებნა ამონაწერში არსებული პირადი ნომრით შესაბამისი პიროვნება. აქედან გამომდინარე სისტემამ ავტომატურად დაამატა დებიტორ/კრედიტორი და დაუკავშირა სტანდარტული გადარიცხვის, ჩვენს მიერ განსაზღვრული მშობელი ანგარიში. 1 და მე-6 ჩანაწერისთვის კი საერთოდ ვერ მოხერხდა ანგარიშების განსაზღვრა, რადგან ამონაწერის ფაილში არ არის მითითებული მიმღების კოდი.




შევასრულო	თარიღი	დოკ. ნომერი	დებიტი	კრედიტი	გამგზავნის ანგ. ნომერი	გამგზავნის ბანკი	მიმღების დასახელება	მიმღების კოდი	მიმღების ანგ. ნომერი	მიმღების ბანკი	ანალიზ ველი
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471383	0.90				იურ. პირების გად...		GE70TB1100006101621...	TBCBGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	680.00				ოლია ბარნაბიშვილი	0101600...	GE43TB05711450643223...	TBCBGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	467.82				ოსტატ კოჩიაშვილი	0101600...	GE13TB77298450636000...	TBCBGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	320.00				თორნიკე თორაძე	0101901...	GE38TB05769450616223...	TBCBGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	55		3150.00	GE61TB361533602010...	TBCBGE22					
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430570392	250.00				შპს "დბ ალიანსი"		GE08BG0000006050985...	BAGAGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430570301	22.30				შპს დიანა	401990...	GE38TB76477360801000...	TBCBGE22	
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	0		240.65	GE03TB0600000000546...	TBCBGE22					

იგივე პრინციპით ხდება ანგარიშების ავტომატური დაკავშირება ჩარიცხვების შემთხვევაში. თუ გამგზავნის კოდი იქნება ცარიელი, სისტემა მას არ მიაკუთვნებს ბუღალტრულ ანგარიშს და ხელით უნდა განუსაზღვროთ სასურველი ანგარიში რომელზეც უნდა შესრულდეს ოპერაცია.

ვნახოთ როგორ ხდება თითოეულ ჩანაწერზე ან მონიშნულ ჩანაწერებზე ბუღალტრული ანგარიშების მითითება. ამისათვის ჩვენს შემთხვევაში სვეტში „ანგარიშის ნომერი“ მოვნიშნოთ 1 და მე-6 ჩანაწერი კლავიატურაზე **ctr** ღილაკისა და ჩანაწერებზე მაუსის დაჭერით და ავირჩიოთ კორექტირების ღილაკი ან დავაჭიროთ **F2**-ს.



ეკრანზე იხილავთ ანგარიშთა გეგმას.



ავირჩიეთ სასურველი ანგარიში მაგალითად 3190 და დააჭიროთ ღილაკს „ავირჩიოთ“. თქვენს მიერ არჩეული ანგარიშები მიეთითება მონიშნულ ჩანაწერებს.

ბანკის ბუღალტრული ანგარიში
12101 თიბისი GE35TB7388936080100001

საბუღალტრო ოპერაციის კომენტარს წარმდგაროთ მიმღების/გამგზავნის ინფორმაცია

ბანკის ამონაწერის იმპორტი [GE35TB7388936080100001] [GEL]

შევასრულოთ	თარიღი	დოკ.ნომერი	დებიტი	კრედიტი	ანგარიშის ნომერი	ანგარიშის დასახელება	ნაშთი	კომენტარი	ღირებულების ცენტრი	გამგზავნის დასახელება	გამგზავ კოდი
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471383	0.90		3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულება...		გადარიცხვის საკომისიო	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	680.00		3130 3	01016002525 ილია ბარნაბიშვილი		აპრილის თვის ხელფასი	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	467.82		3130 4	01016005555 იოსებ ყორიაშვილი		აპრილის თვის ხელფასი	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430471733	320.00		3110 19	01019018493 თორნიკე თორაძე		აპრილის თვის ხელფასი	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	55		3150.00	3120 14	206343991 სს 'სუდევილი', 20634...		საქონლის ღირებულება	საერთო ღირებულების ც...	სს 'სუდევილი', ...	206343
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430570392	250.00		3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულება...		აპრილის თვის მომსახურება	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	1430570301	22.30		3110 20	401990271 შპს დიანა		ს/ზ 0171256259	საერთო ღირებულების ც...		
<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021	0	240.65		1410 16	204888737 შპს 'ჯაბ 777', 20488...	959.35	შპს UTC-ს საქონლის ღირებულ...	საერთო ღირებულების ც...	შპს 'ჯაბ 777', ...	204888

8(2) 1741.02 3390.65

<< წინ შემდეგ >> დასასრული შეწყვეტოთ

იგივე მეთოდით შეგიძლიათ მონიშნულ ჩანაწერებს მიუთითოთ „ღირებულების ცენტრი“ , სადაც შესრულდება ოპერაციები და „ანალიტიკური ველი“, რისი საშუალებითაც შეგიძლიათ თითოეული გატარებისთვის განსაზღვროთ ფულადი სახსრების კატეგორია.

ამონაწერის იმპორტის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“. სისტემა შეასრულებს ბანკის ამონაწერის იმპორტის საბუღალტრო გატარებებს. მაკრო ოპერაციების ქვედა ეკრანში შეგიძლიათ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული ოპერაციები.

OrisAccounting - [მაკრო ოპერაციები]

ფაილი რედაქტირება ხედავს ამოცანები ინსტრუმენტები ფანჯარა(Window) დახმარება

01.01.2021-01.01.2022

ბანკის ამონაწერის იმპორტი

- საქართველოს ბანკი
 - თი-ბი-სი ბანკი
 - თი-ბი-სი ბანკი (XML ფორმატი)
 - თი-ბი-სი ბანკი (ვებ სერვისი)
 - პროკრედიტ ბანკი
 - ალტა სოფტვეარი - ბანკი-კლიენტი

პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022]

ბაღ.	დოკ დას.	აქვს გატარ.	ოპერაციის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის ტიპი	თანხა	ვალუტა	კომენტარი
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	0.90	GEL	გადარიცხვის საკომისიო იურ. პირების გად
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	680.00	GEL	აპრილის თვის ხელფასი ილია ბარნაბიშვილი
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	467.82	GEL	აპრილის თვის ხელფასი იოსებ ყორიაშვილი
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	320.00	GEL	აპრილის თვის ხელფასი თორნიკე თორაძე
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	250.00	GEL	აპრილის თვის მომსახურება შპს 'დმ ალიან
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	22.30	GEL	ს/ზ 0171256259 შპს დიანა, TBCBGE22
		<input checked="" type="checkbox"/>	03.04.2021 ...		ბანკის ამონაწერი	240.65	GEL	შპს UTC-ს საქონლის ღირებულების შპს 'ჯ

testbaze sa